დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
2019 წლის 4 იანვრის #9 დადგენილებით

„ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“

ბათუმი
2019წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.“ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (შედგომში წოდებული როგორც - „წესი“) არეგულირებს შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის“ (შემდგომში წოდებული როგორც - „სასწავლო უნივერსიტეტი“) ბიბლიოთეკით სარგებლობისა და საბიბლიოთეკაში დადგენილ ქცევის წესს.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების და საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის სტატუსი

1. ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ინფორმაციული ერთეული, რომლის ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდი და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

2. ბიბლიოთეკა საქმიანობისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა) მომხმარებელთა/მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;

ბ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

გ) ოპერატიულობა.

3. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და მემორანდუმის ფარგლებში სხვა დაწესებულებების სტუდენტებს/მოსწავლეებს/პერსონალს.

4. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან - შაბათის ჩათვლით 09:00 საათიდან 19:00 საათამდე.

მუხლი 3. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება

1. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მომართვიანობის საფუძველზე, პირადობის ან პასპორტის დამადასტურებელი მოწმობისა და ფოტოსურათის (3X4 ფორმატით) წარმოდგენის შემთხვევაში.

2. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მკითხველის ბარათის გახსნას, სადაც ხდება მკითხველის პირადი მონაცემების შეყვანა (სახელი და გვარი, მოქალაქეობა, მკითხველის ბარათის გახსნის თარიღი, პირადობის/პასპორტის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, (სტუდენტის შემთხვევაში ასევე ფაკულტეტი, კურსი) და ხელმოწერა მკითხველის მიერ.

3. მკითხველის ბარათის მოქმედების ვადაა 1 (ერთი) წელი.

4. მკითხველი ვალდებულია პირად მონაცემებში ცვლილებების შემთხვევაში აცნობოს ბიბლიოთეკარს, რათა განხორციელდეს მკითხველის მონაცემებში ცვლილებების შეტანა.

მუხლი 4. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობა

1. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის უფლება აქვს პირს, რომელიც უკვე გაწევრიანებულია ბიბლიოთეკაში. მკითხველი/მომხმარებელი ვალდებულია ბიბლიოთეკარს წარუდგინოს პირადობის/სტუდენტური ბარათის (სტუდენტის

შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდგომაც ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს საბიბლიოთეკო რესურსით.
2. საბიბლიოთეკო - საინფორმაციო რესურსით სარგებლობა შესაძლებელია როგორც ადგილზე მუშაობით ასევე გატანით, როგორც კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით (ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე თავისუფალი წვდომა) ასევე წიგნადი ფონდით.
3. მკითხველს ეძლევა უფლება ბიბლიოთეკიდან გაიტანოს საბიბლიოთეკო წიგნი 2 (ორი) კვირის ვადით. მკითხველს უფლება აქვს ერთ მოთხოვნაზე გაიტანოს 5 (ხუთი) სხვადასხვა მიმართულების წიგნი.
4. ერთეული წიგნები ბიბლიოთეკიდან გატანას არ ექვემდებარება. დასაშვებია ამ ტიპის წიგნებით მუშაობა ადგილზე ან ასლის გადაღება ბიბლიოთეკარის დახმარებით (ასლის გადაღება დასაშვებია, მხოლოდ 30%).
5. ბიბლიოთეკაში წიგნის გატანით სარგებლობს მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი და სასწავლო უნივერსიტეტთან შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი დასაქმებულები, მემორანდუმის ფარგლებში წიგნი გაიცემა მხოლოდ ადგილზე სამუშაოდ.
6. მომხმარებელს აქვს ასევე შესაძლებლობა ისარგებლოს ელექტრონული ბიბლიოთეკით, რომელიც გააჩნია სასწავლო უნივერსიტეტს (მემორანდუმის ფარგლებში არსებულ მკითხველს/მომხმარებელს შეზღუდვა აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენებაზე).
7. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო მასალა მოიძიოს სასწავლო უნივერსიტეტის კატალოგში. მკითხველის მიერ დაჯავშნილი წიგნის ვადაში გამოუყენლობის შემთხვევაში ჯავშანი უქმდება მეორე დღეს.
8. მკითხველს წიგნად ფონდთან აქვს თავისუფალი წვდომა, რაც გულისხმობს მკითხველის მიერ წიგნადი ფონდის დათვალიერებას და საკუთარი სურვილის შესაბამისად წიგნის შერჩევას გასატანად ან ადგილზე სამუშაოდ. ღია წვდომისას მკითხველი ვალდებულია არჩეული წიგნიდან ამოიღოს ფორმულარი და მიაწოდოს ბიბლიოთეკარს, ხოლო გატანის შემთხვევაში დააზუსტოს ბიბლიოთეკართან წიგნის გატანის შესაძლებლობა.

მუხლი 5. საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნების წესი

1. მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დააბრუნოს ვადაში, საპატიოდ ჩაითვლება 1 (ერთი) დღიანი დაგვიანება, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ბიბლიოთეკარის მიერ მოთხოვნა არის გაგზავნილი წიგნის დაბრუნების თაობაზე. წიგნის დაბრუნების შესახებ ინფორმაცია აღნიშნულია როგორც მკითხველის ბარათზე ასევე ელექტრონულ კატალოგში.
2. მკითველი ვალდებულია წიგნთან ერთად დააბრუნოს CD დისკი და სხვა თანდაყოლილი რესურსი სრულად ასეთის არსებობის შემთხვევაში.
3. ბიბლიოთეკარი უფლებამოსილია გატანილი წიგნის მოთხოვნადობისა და ბიბლიოთეკაში არასაკმარისი რესურსის არსებობისას, მოსთხოვოს მკითხველს წიგნის დაბრუნება ვადაზე ადრე. მკითხველი ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნის

მიღებიდან 1 (ერთი) დღის ვადაში უზრუნველყოს წიგნის დაბრუნება. მოთხოვნის გაგზავნა განხორციელდება ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის გზით.
4. მკითხველს უფლება აქვს გატანილ წიგნზე მოითხოვოს ვადის გაგრძელება ბიბლიოთეკართან პირადად ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
5. თუ მკითხველი ობიექტურ მიზეზთა (ავადმყოფობა, ქვეყნიდან გასვლა) გამო ვერ ახერხებს გატანილი წიგნის დაბრუნებას იგი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს ბიბლიოთეკარს. ამგვარი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მკითხველის მიერ ვადა ჩაითვლება დარღვეულად.
6. მკითხველის მიერ გატანილი წიგნის ვადაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მკითხველს შეეზღუდება ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა მომდევნო 20 (ოცი) დღის განმავლობაში, თუმცა ექნება საშუალება ადგილზე მუშაობის, ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენებისა და წიგნის ასლის გადაღების შესაძლებლობა.

მუხლი 6. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი

1. მომხმარებელი უფლებამოსილია ბიბლიოთეკაში ასევე ისარგებლოს კომპიუტერული ტექნიკით. კომპიუტერის სარგებლობისას დასაშვებია:
ა) საოფისე პროგრამებზე მუშაობა (Microsoft Word, Excel, Powerpoint);
ბ) ინტერნეტ მასალის მოძიება და გადმოწერა;
გ) ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა;
დ) ელექტრონული კატალოგით სარგებლობა;
ე) ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
ვ) სასწავლო უნივერსიტეტის ვებ - გვერდით სარგებლობა.
2. დაუშვებელია კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობისას CD დისკის ან მეხსიერების ბარათის (ფლეშკა) გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეთანხმებულია ბიბლიოთეკართან. დაუშვებელია ინტერნეტ თამაშის ან სხვა გასართობი პროგრამის გადმოწერა.
3. თუ მომხმარებელი არ ფლობს ელექტრონული კატალოგის ან ელექტრონული ბიბლიოთეკის მოხმარების წესს, ბიბლიოთეკარი ვალდებულია გააცნოს მომხმარებელს სარგებლობის წესი.

მუხლი 7. საბიბლიოთეკო რესურსის დაზიანების შედეგი

1. მკითხველი/მომხმარებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს საბიბლიოთეკო რესურსა და მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას.
2. მკითხველის/მომხმარებლის მიერ ბიბლიოთეკაში მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი სრულად.
3. მკითხველის მიერ წიგნის დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში ვალდებულია ბიბლიოთეკარს წარუდგინოს ანალოგიური წიგნი (იმავე გამოშვებისა და წლის, 2 (ორი) კვირის ვადაში) ან აანაზღაუროს წიგნის ღირებულება სრულად საბაზრო ღირებულების შესაბამისად.
4. მკითხველი ვალდებულია წიგნზე დაშტრიხული კოდი არ გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა თუ იგი ნებადართულია ბიბლიოთეკარის მიერ.

5. საბიბლიოთეკო რესურსის თვითნებურად ბიბლიოთეკართან შეთანხმების გარეშე გატანის შემთხვევაში დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა სასწავლო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

მუხლი 8. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

1. მკითხველი/მომხმარებელი ვალდებულია ბიბლიოთეკაში დაიცვას ამ წესით დადგენილი ქცევის ნორმები.
2. მკითხველი/მომხმარებელი უფლებამოსილია:
ა) მიიღოს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო დოკუმენტები - ამ წესის შესაბამისად;
ბ) მიიღოს სრული ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ;
გ) ისარგებლოს ელეტრონული ბიბლიოთეკითა და კატალოგით;
დ) ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზით;
ე) მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება ამ წესის შესაბამისად;
ვ) ჩაერთოს ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.
3. მკითხველი/მომხმარებელი ვალდებულია:
ა) ბიბლიოთეკის სარგებლობამდე, ბიბლიოთეკარს წარუდგინოს პირადობის (პასპორტის) დამადასტურებელი დოკუმენტი, სტუდენტის შემთხვევაში სტუდენტური ბარათი;
ბ) გაუფრთხილდეს საბიბლიოთეკო რესურსს;
გ) წიგნის აღებისას ან დაბრუნებისას აცნობოს უშუალოდ ბიბლიოთეკარს;
დ) წიგნის ან სხვა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გამოყენებამდე შეამოწმოს მისი სიმრთელე, დაზიანების ან დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს ბიბლიოთეკარს;
ე) ვადაში დააბრუნოს გატანილი წიგნი;
ვ) აანაზღაუროს საბიბლიოთეკო რესურსებზე მიყენებული ზიანი, ხოლო წიგნის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში ასევე დასაშვებია, იმავე წიგნით ჩანაცვლება;
ზ) შეინარჩუნოს ბიბლიოთეკაში სიმშვიდე, დაუშვებელია ხმამაღალი საუბარი, ასეთის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უფლებამოსილია მისცეს შენიშვნა, ამგვარი ქმედების განმეორების შემთხვევაში კი მოსთხოვოს ბიბლიოთეკის დატოვება;
თ) ბიბლიოთეკაში შესვლამდე მობილური ტელეფონი გადაიყვანოს უხმო რეჟიმზე;
ი) ბიბლიოთეკაში შესვლამდე უზრუნველყოს საკვები პროდუქტების შენახვა, ბიბლიოთეკაში დასაშვებია მხოლოდ წყლისა და ქაღალდის სალფეთქის გამოყენება.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით. ცვლილება/დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რექტორის 2014 წლის 20 აგვისტოს №20 ბრძანება „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ს შესახებ.
3. წინამდებარე წესი არ ვრცელდება ამ წესის დამტკიცებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე.